

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060502

ქვეპროგრამის დასახელება:

სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2016 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	150,000
სულ ბიუჯეტი:	150,000

ქვეპროგრამის მიზანი:

სქოლიოზით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის მოზარდებისათვის რეაბილიტაციის კურსების მიწოდება.

ქვეპროგრამის აღწერა:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი 2012-2015 წლებში ახორციელებდა სამიზნე ჯგუფში (საბავშვო ბაღების აღსაზრდელები და საჯარო სკოლების 1-8 კლასების მოსწავლეები) მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენის ქვეპროგრამას. 34 574 გამოკვლეულიდან 3000-მდე ბავშვს გამოუვლინდა სქოლიოზი. ამ ბავშვების დაახლოებით 85%-ს ესაჭიროება სარეაბილიტაციო მკურნალობა.

სამიზნე ჯგუფისთვის გაწეული მომსახურება მოიცავს ექიმ-სპეციალისტის კონსულტაციას, სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარებას (არანაკლებ 15 წუთიანი მასაჟი -10, არანაკლებ 40 წუთიანი სამკურნალო ფიზკულტურა -20), ბავშვისა და მშობლისათვის სამკურნალო ფიზკულტურის სახლის პირობებში ჩატარების სწავლებას. მომსახურების ღირებულება შეადგენს 178 ლარს.

ქვეპროგრამით გაწეული მომსახურება ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ მომსახურების ღირებულების 100%-ით. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებს მიეკუთვნება სხვადასხვა ხარისხის სქოლიოზის მქონე 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0- დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით და ბავშვები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო მზრუნველობაში.

ქვეპროგრამა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის საშუალებით, ბენეფიციართა ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ ა, სადაც მითითებული უნდა იყოს დიაგნოზი ICD-10 მიხედვით და რეაბილიტაციის კურსის საჭიროება;
- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია;
- მშობლის ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- სახელმწიფო მზრუნველობაში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დასახელება		პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
რეაბილიტაციის კურსების ჩატარება		842	178	150,000
რეაბილიტაციის კურსით გათვალისწინებული ღონისძიებები	სარეკომენდაციო რაოდენობა			
ექიმ-სპეციალისტის (ორთოპედის) კონსულტაცია	1			

სამკურნალო ფიზიკულტურა	20			
მასაჟი	10			
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				150,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
ბენეფიციართა განცხადებების მიღება	X	X	X	X
განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.	რეაბილიტაციის კურსის რაოდენობა	842	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი